საქართველო

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 27 5

02/03/2020

ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ს/ს „სილქნეტი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 5 ერთეული გარე განათების ბოძის ს/ს „სილქნეტი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით, ორი წლის ვადით გადაცემაზე.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე